საქმე № 1ბ/139

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საჩივრის უარყოფის შესახებ

11 თებერვალი, 2015 წელი *ქ.თბილისი*

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გელა ბადრიაშვილმა

*ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორის - **ვანო ოქროპირიძის** საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი არევაძის 2015 წლის 06 თებერვლის განჩინებაზე, საგამოძიებო მოქმედების - ჩხრეკის ჩასატარებლად ნებართვის გაცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებით,*

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:
ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველო იძიებს სისხლის სამართლის №XXXXXXXXXXXX საქმეს, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

აღნიშნული საქმის გამოძიების ფარგლებში, 2015 წლის 06 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორმა ვანო ოქროპირიძემ და ითხოვა ნებართვის გაცემა, რათა ჩატარებულ იქნეს 1) შპს ,,უ. ტ.-ს” (ს/ნ XXXXXXXXX) იურიდიულ მისამართზე ქ. თ., გ. ქუჩა, ს., კორპუსი №X-ში, 2) ი/მ მ. ჯ.-ს (ს/ნ XXXXXXXXXXX), იურიდიულ მისამარზე ს.-ს რაიონი, წ., ე. მ.-ს ქუჩა №XX-ში, 3) ი/მ ,,მ. კ.-ს” (ს/ნ XXXXXXXXX) იურიდიულ მისამართზე თ., ს. ყ., XX-ე ქუჩა, №X-ში, 4) შპს ,,ბ.-ს” (ს/ნ XXXXXXXXX), იურიდიული მისამართზე ს.-ს რაიონი, წ. , ე. მ.-ს ქუჩა, №XX-ში, 5) შპს ,,ს.-ს” (ს/ნ XXXXXXXXX) იურიდიულ მისამართზე ს.-ს რაიონი, წ. , ე. მ.-ს ქუჩა №XX-ში, 6) შპს ,,ა.-ს” (ს/ნ XXXXXXXXX) იურიდიულ მისამართზე ს., ქ. მ.-ში, 7) შპს X.X.X.-ის (ს/ნ XXXXXXXXX) იურიდიულ მისამართზე თ., ს.ჯ., 8) შპს ,,კ.-ს” (ს/ნ XXXXXXXXX) იურიდიულ მისამართზე თ., გ.-ნ.ს რაიონი, ხ.-ს ქუჩა №XX-ში, 9) შპს ,,ა.-ს” (ს/ნ XXXXXXXXX) იურიდიულ მისამართზე ქ., ნ.-ს მეორე შესახვევი №XX, ბინა №XX-ში, 10) შპს

„ტ.-ს" (ს/ნ XXXXXXXXX) იურიდიულ მისამართზე თ., დ. დ. მე-X მ/რ, კორპუსი №XX ბ. №XX-ში, 11) შპს „ტ.-ს" (ს/ნ XXXXXXXXX), იურიდიულ მისამართზე თბილისი, ვ.-ს.-ს რაიონი, ი. ჭ.-ს გამზირი №XX, ბინა №XX-ში, 12) რ. მ.-ს საცხოვრებელი სახლის, მდებარე თ., ს.-ს დასახლება კორპუსი №Xვ, ბინა №XX-ში და 13) სასაქონლო ზედნადებების გამოწერის მისამართიდან თ., ვ.-ს მე-X მასივი, მე-X კვარტალი, სადარბაზო №X, სართული X, ბინა №XX-ში ჩხრეკა, რა დროსაც ამოღებულ იქნეს მითითებული საწარმოების 2013 წლის 01 იანვრიდან - 2015 წლის 06 თებერვლამდე პერიოდის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია (საბუღალტრო, სადამფუძნებლო და იურიდიული) და შავი ჩანაწერები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი არევაძის 2015 წლის 06 თებერვლის განჩინებით პროკურორის შუამდგომლობა ჩხრეკის ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორმა ვანო ოქროპირიძემ. პროკურორი ითხოვს განჩინების გაუქმებას და ნებართვის გაცემას ჩხრეკის ჩასატარებლად.

საჩივარში აღნიშნულია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ დაუსაბუთებელია, ვინაიდან საქმის მასალებიდან გამომდინარე, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ სახეზეა პირთა ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი და ამ გზით სახელმწიფოს ადგება დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი. შუამდგომლობაში მითითებული საზოგადოებები ერთმანეთის სახელზე წერენ ანგარიშ-ფაქტურებს და ხელოვნურად ქმნიან დღგ-ს აქტივს, რითაც თავს არიდებენ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების გადახდას. ეს საზოგადოებები ანგარიშ-ფაქტურების და სასაქონლო ზედნადებების გაწერას ახდენენ ძირითადად სამი IP მისამართიდან. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ შუამდგომლობასთან ერთად წარმოდგენილი იქნა მთელი რიგი მტკიცებულებებისა, რომლებიც ასაბუთებენ შუამდგომლობის მართებულობას და საკმარისია იმ სტანდარტისათვის, რათა სასამართლოს მიერ გაიცეს განჩინება საგამოძიებო მოქმედების - ჩხრეკის ჩასატარებლად. შესაძლოა ზემოთ მითითებულ ორგანიზაციებში ინახებოდეს შავი ჩანაწერები, რისთვისაც საჭიროა მათი ძებნა (იხ. საჩივარი).

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მასალები იძლევა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამმართველოს პროკურორის ვანო ოქროპირიძის საჩივარში მითითებული გარემოებების ზეპირი მოსმენის გარეშე სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას და არ არსებობს საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა.

საგამოძიებო კოლეგიამ განიხილა საჩივარი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიაჩნია, რომ საჩივარი ***არ უნდა დაკმაყოფილდეს,*** *შემდეგ გარემოებათა გამო:*

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუცია და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 თავის ნორმები საგამოძიებო ორგანოებს უწესებს გარკვეულ სამოქმედო ჩარჩოებს ისეთი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას, რომლებიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. აღნიშნული გამოიხატება იმაში, რომ ასეთი საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად აუცილებელია სასამართლოს განჩინების არსებობა. იმავდროულად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი განსაზღვრავს მტკიცებულებით სტანდარტს, რომელიც აუცილებელია არსებობდეს საგამოძიებო მოქმედებების, მათ შორის, ჩხრეკის ჩატარების დროს. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნებისთვის, ასეთი სტანდარტია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი ანუ ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც ამართლებს მის ჩატარებას.

პარალელურად, საპროცესო კოდექსით დეტალურად არის დარეგულირებული საგამოძიებო მოქმედებების, მათ შორის, ჩხრეკის ჩატარების მიზანი, საფუძველი და პროცედურა. უდავოა და კამათს არ იწვევს ის ფაქტი, რომ საჭიროების შემთხვევაში, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, საგამოძიებო ორგანომ სასამართლოსგან უნდა მოითხოვოს ნებართვა კერძო საკუთრების, მფლობელობის ან პირადი ცხოვრების შემზღუდავი საგამოძიებო მოქმედების, მათ შორის, ჩხრეკის ჩატარების მიზნით. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, დგება საკითხი, რამდენად შეესაბამება დაყენებული მოთხოვნა ნებართვის გაცემის თაობაზე იმ მინიმალურ სტანდარტებს, რაც საჭიროა მოსამართლის განჩინების გასაცემად. როგორც აღვნიშნეთ, ამისთვის აუცილებელია დასაბუთებული ვარაუდის არსებობა.

ჩხრეკის ჩასატარებლად დასაბუთებული ვარაუდის საკმარისობას მოსამართლე აფასებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის მიხედვით, რომლის თანახმად, დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი თუ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა. იმ შემთხვევაში კი, თუ აუცილებელი ხდება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან შენახული, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოღება და მის ამოსაღებად ძებნა არ არის საჭირო, ადგილი აქვს ამოღების ჩატარებას და არა ჩხრეკას.

როდესაც მოსამართლე იხილავს ჩხრეკის ჩასატარებლად შეტანილ შუამდგომლობას, მასში დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით უნდა არსებობდეს მონაცემები იმის თაობაზე, რომ ამოსაღები საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი ინახება იმ ადგილზე ან იმ პირთან, საიდანაც ამოღებაა დაგეგმილი, მაგრამ მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა. მოცემულ შემთხვევაში, როდესაც პროკურორი ითხოვს შუამდგომლობაში (საჩივარში) ჩამოთვლილი ორგანიზაციების და საცხოვრებელი ბინის

ჩხრეკას, შუამდგომლობასთან ერთად წარმოდგენილი საქმის მასალები უნდა იძლეოდეს ინფორმაციას იმის შესახებ, ინახება თუ არა ისინი მითითებულ მისამართებზე და რომ მათ აღმოსაჩენად ნამდვილად საჭიროა ძებნა. ამისთვის აუცილებელია მოსამართლისთვის შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა დოკუმენტებსა და ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებზე დაყრდნობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ მოსამართლემ უნდა გასცეს ჩხრეკის ნებართვა ისეთ შუამდგომლობაზე, სადაც არ არის დაკონკრეტებული ამოსაღებად განკუთვნილი დოკუმენტების აღმოსაჩენად აუცილებელია თუ არა მათი ძებნა ან იმყოფება თუ არა ისინი იმ ადგილზე ან იმ პირთან, სადაც ჩხრეკის ჩატარებაა მოთხოვნილი.

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად შეაფასა ჩხრეკის ჩატარების პროცესუალური საფუძვლები, როდესაც შუამდგომლობის ავტორს მიუთითა, რომ წარმოდგენილი ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც შეეხება მოცემულ საქმეს, არ იძლევა ხსენებულ საზოგადოებებსა და საცხოვრებელ სახლში ჩხრეკის ჩატარების შესაძლებლობას. საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ჩხრეკისა და ამოღების ჩასატარებლად დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი იდენტური არ არის. იმისათვის, რომ ამოღების ჩასატარებლად საკმარისი დასაბუთებული ვარაუდი იყოს სახეზე, უნდა არსებობდეს ინფორმაცია ამოსაღები ობიექტის ამა თუ იმ ადგილზე, ამა თუ იმ პირთან არსებობის შესახებ და იმავდროულად მის დასაძებნად დამატებითი ძალისხმევა არ უნდა იყოს საჭირო. აღნიშნულისგან განსხვავებით, ჩხრეკის ჩატარება შედარებით განსხვავებულ სტანდარტს უწესებს შუამდგომლობის აღმძვრელ მხარეს და გულისხმობს არა მარტო იმ ინფორმაციის მიწოდებას, რომ ამოსაღები ობიექტი იმყოფება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან, არამედ იმის მითითებასაც, რომ მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა, რაც გამყარებული უნდა იყოს შუამდგომლობაზე თანდართული დოკუმენტებით. ამოღებისაგან განსხვავებით, ჩხრეკა უფრო მეტად ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. ამიტომ, მოსამართლე ერთნაირი საზომით ვერ მიუდგება ჩხრეკისა და ამოღების შუამდგომლობათა გადაწყვეტას.

საგამოძიებო კოლეგია იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, როგორც წესი, ინახება საწარმოს ოფისში, ბუღალტერთან და შესაბამისად, მის ამოსაღებად მთლიანად ადმინისტრაციული შენობის ჩხრეკის აუცილებლობა არ არსებობს. განსაკუთრებით ეს ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც მოთხოვნილია საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა ან ისეთი მისამართების ჩხრეკა, რომლებიც საცხოვრებელ მისამართებს წარმოადგენს და ადვილი შესაძლებელია სწორედ ამ დანიშნულებით გამოიყენებოდეს, რაც გულისხმობს არა მარტო კერძო საკუთრების ან მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევას, არამედ პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევასაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა როგორც პირადი, ისე კერძო საკუთრების ინტერესების მაქსიმალურად დაცვის მიზნით, ჩხრეკის ჩატარება სასამართლოში წარმოდგენილი დოკუმენტაციით სათანადოდ უნდა იყოს მოტივირებული და დასაბუთებული. მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილ საქმის მასალებში არ მოიპოვება არანაირი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გამოძიებისთვის

საინტერესო დოკუმენტების ამოსაღებად საჭიროა მათი დაძებნა და აღმოჩენა. ამასთან, საქმეში საერთოდ არ არის არანაირი მონაცემი ე.წ. „შავი ჩანაწერების“, მით უმეტეს, შუამდგომლობასა და საჩივარში მითითებულ მისამართებზე მათი შესაძლო არსებობის თაობაზე. შესაბამისად, ამ ეტაპზე არ არსებობს ჩხრეკის ჩატარების პროცესუალური საფუძვლები, ხოლო სხვა საგამოძიებო მოქმედების (მაგალითად, ამოღების) ჩატარების შუამდგომლობით, რომლითაც შესაძლებელია შედარებით ნაკლებად შეიზღუდოს კერძო საკუთრების, მფლობელობის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, პროკურორს სასამართლოსთვის არ მიუმართავს.

ამრიგად, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლით გათვალისწინებული ჩხრეკის საფუძველი, არ არის წარმოდგენილი საკმარისი დოკუმენტაცია, რაც აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად მოსამართლის განჩინების გაცემის საჭიროებას განაპირობებს და საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ ჩხრეკის ჩასატარებლად ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი არევაძის 2015 წლის 06 თებერვლის განჩინება კანონიერია, დასაბუთებულია და უნდა დარჩეს უცვლელად.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3, მე-20, 97-98-ე, 112-ე, 119-ე, 207-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორის - ვანო ოქროპირიძის ***საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;***

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი არევაძის 2015 წლის 06 თებერვლის განჩინება, საგამოძიებო მოქმედების - ჩხრეკის ჩასატარებლად ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, ***დარჩეს უცვლელად;***

განჩინების ასლები გაეგზავნოს და გადაეცეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს და ორგანოებს;

განჩინება საბოლოოა და ***არ საჩივრდება.***

მოსამართლე ***გელა ბადრიაშვილი***